როგორ გავაუმჯობესოთ სკოლის მზაობა პროფესიული განათლების ავტორიზაციის მე-3 სტანდარტთან მიმართებით

ქეთევან გელაშვილი

გვანცა დოხნაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაკა კორძაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან გელაშვილი

გვანცა დოხნაძე

18.06.2023 წელი

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს თემაზე - როგორ დავნერგოთ პროფესიული განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურზე, რომელიც განვახორციელეთ სოფელ კორბოულის მე-2 საჯარო სკოლაში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო გაგვეუმჯობესებინა სკოლის მზაობა პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვასთან, კერძოდ, მესამე სტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებსა და მათ მხარდამჭერ ღონისძიებებს ეხება.

პრაქტიკის კვლევის განხორციელების დროს გამოვიყენეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები, როგორიცაა - ფოკუს ჯგუფი, ვებგვერდის კონტენტ ანალიზი და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

შერჩეული მეთოდები დაგვეხმარა, განგვესაზღვრა რა ცოდნას ფლობენ სამუშაო გუნდის წევრები სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების შესახებ, რა სერვისებს სთავაზობენ საქართველოში მოქმედი პროფესიული სასწავლებლები საკუთარ სტუდენტებს და პროფესიული სასწავლებლის სტანდარტების დანერგვის მიმართულებით რა ეტაპზეა სამიზნე სკოლა.

დიაგნოსტირების ეტაპზე მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდგომ, შევიმუშავეთ ინტერვენციები, რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც იძლეოდა სკოლის მზაობა და მათთან ჩვენი ფიზიკური დისტანცირებულობა. ჩვენი აზრით, ეს იყო საუკეთესო გზა ამ ეტაპისათვის დასახული მიზნის მისაღწევად. იმის გასაზომად, თუ რამდენად შევძელით დაგეგმილი ინტერვენციებით ჩვენი პრაქტიკის კვლევის მიზნის მიღწევა, ინტერვენციების შემდეგ ჯგუფის წევრებთან ჩავატარეთ პროცესის შესაფასებელი ფოკუს ჯგუფი და საკითხის შესახებ ინფორმირებულობის დონის შესაფასებელი ინტერვიუები.

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ დარგის სპეციალისტებთან შეხვედრების ციკლის შემდეგ გაიზარდა ჯგუფის წევრების კომპეტენტურობა. ბოლო ეტაპზე გავეცით

რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი იქნება პროფესიული სასწავლებლის სტანდარტებთან სკოლის შესაბამისობის მიღწევა და პროფესიული პროგრამების რეალურად განხორციელება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პრაქტიკის კველევა, პროფესიული განათლება, ავტორიზაცია, ანდრაგოგიკის პრინციპები, ტრენინგი, სტუდენტური სერვისები.

Abstract

This work is a report of the action research on the topic – of how to implement vocational education at the secondary level of the general educational institution, which we implemented in the 2nd public school of the village of Korbouli.

Our study aimed to improve school readiness for the implementation of vocational education authorization standards, particularly the third standard, which deals with vocational school students and their support measures.

During the implementation of action research, we used qualitative research methods, such as focus groups, content analysis of websites, and semi-structured interviews.

The selected methods helped us determine what knowledge the members of the working team have about student support services, what services vocational schools operating in Georgia offer to their students, and at what stage the target school is in the direction of introducing the standards of the vocational school.

After analyzing the information received at the diagnosis stage, we developed interventions, which were made possible by the readiness of the school and our physical distance from them. In our opinion, this was the best way to achieve the goal set for this stage.

To measure the extent to which we were able to achieve our action research objective with the planned interventions, we conducted process evaluation focus groups and issue awareness interviews with team members following the interventions.

The interviews revealed that after the cycle of meetings with specialists in the field, the competence of the group members increased. At the last stage, we made recommendations, taking into account what, we think will be possible to achieve the license of the school with the standards of the vocational school and professional programs.

Keywords: Action research, vocational education, authorization, principles of andragogy, training, student services.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენ მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს - ქალბატონ მაკა კორძაძეს და სოფელ კორბოულის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორს და პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს - ბატონ გელა მაჭარაშვილს, რომლებიც აქტიურად გვაძლევდნენ რეკომენდაციებს და გვეხმარებოდნენ კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში. ასევე, მადლობას ვუხდით კორბოულის მე-2 საჯარო სკოლის ყველა პედაგოგს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან, პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.